



საავტომობილო საწვავის (ბენზინის, დიზელის) შესყიდვის გამარტივებული
ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 121 მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის N9 ბრძანების საფუძველზე.

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია
3. ტექნიკური დოკუმენტაცია
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
5. დანართი – #1 აფიდავიტი
6. დანართი – #2 რეკვიზიტები
7. დანართი –#3 ფასების ცხრილი

ქ. ნინოწმინდა
2011 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების და „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ შესაბამისად.

1.2 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისთანავე, თქვენ გეძლევათ საშუალება გაეცნოთ სატენდერო განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას.

1.3 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით).

აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართი 1.

1.4 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ტენდერში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოსთან შეთანხმებით, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთამდე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.6 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია დაბრუნებას არ ექვემდებარება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;
ბ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

გ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

დ) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.7 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განხორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.8 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.9 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.10 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ (მიმწოდებელს) გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. (თუ სატენდერო განცხადებაში მითითებულია, რომ სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილ უნდა იქნას დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში დღგ) გარეშე, მიმწოდებელი სისტემაში ფასს უთითებს დღგ-ს გარეშე, თუმცა თუ იგი დღგ-ს გადამხდელია, შესაბამისი ოდენობით თანხა გათვალისწინებულ იქნება ხელშეკრულებაში.

1.11 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ (მიმწოდებელს) უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.12 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.13 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.14 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.15 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა.

წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.16 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.17 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.18 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. ამ შემთხვევაში ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

1.19 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით. საკვალიფიკაციო მონაცემები არის ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო განცხადებით ან სატენდერო დოკუმენტაციით მათი მოთხოვნის შემთხვევაში. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულების თარიღს. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენისათვის შემსყიდველი პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

1.20. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.21 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას.

ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერწარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.22 ამ ინსტრუქციის 1.21 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს. თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი.

1.23 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასისმქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი

ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.24 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.25 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.26 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.27 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.28 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2 .საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

2.1.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

2.2 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:

ა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე-52 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ;

3. ტექნიკური პირობები

რაოდენობა: დიზელის საწვავი – 3415 ლიტრი, ბენზინი – 185 ლიტრი

3.1 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

3.2 ნინოწმინდის რაიონის შპს „კომუნალური დაწესებულებების კომბინატი“-ს მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

3.3 პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

– გასაწევი მომსახურების მიწოდების განფასებას (დანართი #3)

- სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერი გათვალისწინებული მომსახურების აღწერილობის სრულყოფილად შესრულებასა და მასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და ასევე მიწოდების გრაფიკს პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ინფორმაცია სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის შესახებ. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან არანაკლებ 20 კალენდარული დღის განმავლობაში, საბანკო რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა დანართი 2-ის მიხედვით.

– ანალოგიური მომსახურების გაწევის 2 წლიანი გამოცდილება და ბოლო 2 წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი დამოწმებული ბეჭდით და ხელმძღვანელი პირის ხელმოწერით.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ეტაპობრივად ყოველთვიურად, ანგარიშფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

წინასწარი ანგარიშსწორების პირობები განიხილება.

გამარჯვების შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე შემყიდველს წარმოუდგინოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 2%-ის ოდენობით და მისი ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლებ 30 დღით.

3.5. შპს „კომუნალური დაწესებულებების კომბინატი“ უზრუნველყოფს:

წარმომადგენლის გამოყოფას, რომელიც უშუალოდ გაუწევს ზედამხედველობას მომსახურების გაწევის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მოახდენს მომსახურების პროცესზე რეაგირებას.

3.6 დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან: სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: კარინე ტერტერიანი: ტელ: 571-73-96-09, tkimik@yahoo.com

ხელშეკრულება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება და დაიხვეწება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ.ნინოწმინდა

2011 წლის _____

ერთის მხრივ ნინოწმინდის რაიონის შპს „კომუნალური დაწესებულებების კომბინატი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) დირექტორის კიმიკ ტონოიანის სახით და მეორე მხრივ, _____ (შემდგომში მომწოდებელი), მისი დირექტორის _____ სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2 „ხელშეკრულების რირებულება“ – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში შესყიდველი) – ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ – ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
- 1.6 „მომსახურება“ – ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანი.
- 1.7 „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 ნინოწმინდის რაიონის შპს „კომუნალური დაწესებულებების კომბინატი“ მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის საგანს წარმოადგენს: საწვავის (ბენზინის, დიზელის) შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის
- 2.2 მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს _____ ლარს. მომწოდებლის მიერ

გაწეული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2 წინმდებარე ხელშეკრულების ფასის შეცვლა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 398 ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი

1. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გათვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.

2. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

3 მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს, თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს უზრუნველყოფის მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვით.

ბ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების შესრულება სროულად და ხარისხიანად.

4.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

5. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განახორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ _____

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკითარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების

გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

7. სამუშაოს შესრულების პირობები

7.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით.

7.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობით. მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.3 მომსახურების მიღებას აწარმოებს; ნინოწმინდის რაიონის შპს „კდკ“-ის _____

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალურა – ლარი)

ბ) ანგარიშსწორების ფორმა—უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მომწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

14.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობის საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისთა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

17.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისახებ ენაზე. ინტერპრეტაციის ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელსაც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან

2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან“ და ორი პირი შესყიდველთან).

20. მხარეთა რეკვიზიტები

შესყიდველი:

მიმწოდებელი:

აფიდავიტი

სატენდერო წინადადებების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ

ხელმოწერი, _____ (სახელი, გვარი, პ/ნ)

_____ სახელით, (პრეტენდენტის

დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ _____

(ტენდერის გამოცხდების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ა) სატენდერო წინადადების ფასი; ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა; გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება; დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერი პირობებს. ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.
6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი გამზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლის შესაბამისად.

დანართი #2

1. პრეტენდენტის რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არანაკლებ 20 კალენდარული დღე.

პრეტენდენტი: _____

(ხელისმოწერა და ბეჭედი)

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოების ქვეყანა	რაოდენობა (ლიტრი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მოწოდების ვადა	მოწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8
ბენზინი							
დიზელი							

პრეტენდენტი: _____

(ხელისმოწერა და ბეჭედი)